საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკაბაძე ვასილ მიხეილის ძე

ვ. კაკაბაძე

კაკაბაძე ვასილ მიხეილის ძე [7(19). X. 1888, ქ. ხონი, – 10. III. 1968, თბილისი], ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1943), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1944), საქართველოში საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების ერთერთი ფუძემდებელი. სწავლობდა თავდაპირველად როსტოვის ტექ. სასწავლებელში, შემდეგ – ხარკოვის ტექ. ინ-ტში. ინ-ტის დამთავრების (1916) შემდეგ კ. მუშაობდა სამხედრო გზების მშენებლობაზე ერზურუმის (თურქეთი) რ-ნში. 1918 დაბრუნდა საქართველოში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილ. უნ-ტის პოლიტექ. ფაკ-ტის გახსნის (1922) პროცესში. 1930–45 ხელმძღვანელობდა ქიმ. და ქიმ. ტექნოლოგიის ფაკტს სპი-ში; 1944-იდან იყო ამავე ინ-ტის არაორგ. ნივთიერებათა და ქიმ. სასუქების ტექნოლოგიის კათედრის გამგე. კ-ის ძირითადი შრომები ეხება ქიმ. ტექნოლ. საკითხებს, იკვლევდა მანგანუმის ღარიბი მადნებიდან და შლამებიდან ქიმ. გადამუშავების გზით მანგანუმის სულფატის, ნიტრატის, ქლორიდის, სულფიდის, პოლისულფიდისა და სხვა ნაერთების მიღების მეთოდებს, რ-იც შემდგომში საფუძვლად დაედო შავი ცემენტის წარმოებას, გოგირდმჟავას სინთეზს (კვაისის თუთიის მადნების მასულფატიზებელი გამოწვით; თანაავტ. ი. ბუჩუკური, ვ. ჩაგუნავა), სოდაპროდუქტების მიღებას საქართველოში მოპოვებული მირაბილიტებიდან (თანაავტ. ნ. ლანდია), ულტრამარინისა და თხევადი მინის წარმოებას ადგილობრივი ნედლეულიდან (თანაავტ. ი. ბუჩუკური, კ. ივანოვი). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

კ-ის აქტიური მონაწილეობით დაარსდა (1925–29) პირველი ქართ. ტექ. ჟურნ. "ტექნიკა და ცხოვრება", რ-ის პირველი რედაქტორიც თავადვე იყო. დიდია კ-ის ღვაწლი ქართ. ტექ. ტერმინოლოგიის შემუშავებაში (გ. ნიკოლაძესთან ერთად). იყო ქართული ტექ. ტერმინოლოგიის დამდგენი კომისიის თავ-რე. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა ტექ. ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი ქართ. ენაზე.

1938-იდან გარდაცვალებამდე იყო დ. მენდელეევის სახ. საკავშ. ქიმიური საზ-ბის რესპუბლიკური გამგეობის უცვლელი თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.